სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება №20

ქ. ხონი 15 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრი** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **აკაკი გოფოძის** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „ნინო ბერაძე“** (შემდგომში მიმწოდებელი), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული ფორმით **საქონლის** სახელმწიფო შესყიდვაზე.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულემაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის CPV03451100 (ნერგები, ჩითილები) კოდით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **300 (სამასი) ლარს.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურის (ინვოისის) ან/და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მიღება–ჩაბარებს წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6 მხარეთა უფლება – მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

8.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრი ხონი, მოსე ხონელის 3 საიდენტიფიკაციო კოდი: 244974337 სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 სახაზინო კოდი: 745457004 ელ.ფოსტა: khoni.komunaluri@gmail.com	ი/მ ნინო ბერაძე ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი #12 საიდენტიფიკაციო კოდი: 55001007421 ა/ა GE21LB0112143044331000 სს"ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ტელ: 593 91 49 47

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: _____ მიმწოდებელი:_____

Akaki Gophodze Digitally signed by Akaki Gophodze Date: 2019.05.15 12:56:25 +04'00'

Nino Beradze Digitally signed by Nino Beradze Date: 2019.05.15 12:55:39 +04'00'